ხელშეკრულება N 91
მომსახურეობის შესახებ

ქ. თბილისი 11 ივნისი 2019 წ.

ააიპ საქართველოს სამეცნიერო-საგანმანათლებლო კომპიუტერული ქსელების ასოციაცია - "გრენა" (შემდგომში "მიმწოდებელი"), რომლის მისამართია: საქართველო თ. ჭოველიძის ქუჩა, მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის, აღმასრულებელი დირექტორის რამაზ ქვათაძის სახით, მოქმედი კანონმდებლობისა და საკუთარი წესდების თანახმად

და სსიპ „საქართველოს სახელმწიფო ჰიდროგრაფიული სამსახური" (შემდგომში "**შემსყიდველი**"), რომლის მისამართია: საქართველო, ფოთი. დ. თავდადებულის ქ. N 93. მისი დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი ნინო წულაიას სახით, მოქმედი კანონმდებლობისა და საკუთრი წესდების თანახმად ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას.

„მიმწოდებელი" და „შემსყიდველი" არიან ხელშეკრულების მხარეები.

1.ხელშეკრულების საგანი

1.1. შემსყიდველისთვის შემდეგი ლიცენზიის მიწოდება: **ანტივირუსი ESET NOD32 SMALL Business Pack– 1 (ერთი) წლიანი ელექტრონული ლიცენზია 10 მომხმარებელზე. CPV – 48761000;**

2. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

2.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2019 წლის 30 სექტემბრის ჩათვლით.

3. ხელშეკრულების ღირებულება და ანგარიშსწორების წესი

3.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების ჯამური ღირებულება შეადგენს **872.00 (რვაასსამოცდათორმეტი)** ლარს დ.ღ.გ.-ს ჩათვლით.

3.2. ხელშეკრულების ღირებულება შეიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯებს, დაკავშირებულს მის მიერ ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ლიცენზიის მოწოდებასთან, მათ შორის კანონმდებლობით დადგენილ გადასახადებს, მოსაკრებლებს და სხვა.

3.3. ანგარიშსწორება განხორციელდება მომსახურების მოწოდებიდან 5 სამუშო დღის განმავლობაში.

3.4. ლიცენზიის ღირებულების გადახდა წარმოებს უნაღდო ანგარიშსწორებით, საბანკო გადარიცხვით.

4. ლიცენზიის მოწოდების ვადა და მიღება-ჩაბარების წესი

4.1. მიმწოდებელმა წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ლიცენზიის მოწოდება უნდა დაასრულოს ხელშეკრულების ხელმოწერიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში 2019 წლის 25 ივნისის ჩათვლით.

4.2. მხარეები თანხმდებიან, რომ მოწოდებული მომსახურება უნდა იყოს უფლებრივად უნაკლო.

4.3. მომსახურების მოწოდება დასტურდება მიღება-ჩაბარების აქტით და ელექტრონული ანგარიშფაქტურით.

4.4. მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერამდე შემსყიდველი უფლებამოსილია შეამოწმოს მომსახურების ხარისხი და ვარგისიანობა.

4.5. შემოწმების შედეგად ნაკლოვანების (მათ შორის ნებისმიერი ნაკლის, წუნის ან ხარვეზის) გამოვლენის შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია გონივრულ და უმოკლეს ვადებში საკუთარი ხარჯებით გამოასწოროს ნაკლოვანებები.

5. ფორს-მაჟორი

5.1. ამ მუხლის მიზნებისათვის "ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი.

5.2. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

6. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

6.1. ხელშეკრულების დამდებ არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.
6.2.თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.
6.3. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

7. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა და დავათა განხილვის წესი

7.1 მხარეებს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების დარღვევის შემთხვევაში დაეკისრებათ პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით, მომწოდებელზე პირგასამტეხლოს დაკავება მოხდება გადასახდელი თანხიდან;
7.2 იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 3%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.
7.3 საჯარიმო სანქციის გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.
7.4 ამ ხელშეკრულების შესრულების დროს წამოჭრილი ყველა დავა შეძლებისდაგვარად გადაწყდება მხარეთა შორის მოლაპარაკების გზით.
7.5. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავა გადაწყდება სასამართლოს მეშვეობით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

8. ხელშეკრულების სხვა პირობები

8.1. წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში არც ერთ მხარეს არ აქვს უფლება მეორე მხარისაგან წერილობითი თანხმობის გარეშე თავისი უფლებები და ვალდებულებები გაასხვისოს ან გადასცეს მესამე პირს.
8.2. წინამდებარე ხელშეკრულების მოშლა შესაძლებელია, თუ ერთ-ერთი მხარე არღვევს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს და ზიანს აყენებს მეორე მხარეს.
8.4. ხელშეკრულებაში დამატებებების და/ან ცვლილებების შეტანა შესაძლებელია ორივე მხარის წერილობითი თანხმობით.
8.5. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორი თანაბარი იურიდიულიძალის მქონე ეგზემპლარად(ერთი - შემსყიდველს, ერთი - მიმწოდებელს).
8.6. ისეთ შემთხვევებში, რომელიც არ არის გათვალისწინებული ამ ხელშეკრულებით, მხარეები ხელმძღვანელობენ საქართველოში მოქმედი სამოქალაქო კანონმდებლობით.
8.7 ხელშეკრულების დადების საფუძველია სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონის მე–3 მუხლის პირველი პუნქტის ,,ს[1]“ ქვეპუნქტი (5000 ლარამდე შესყიდვა).

მხარეთა იურიდიული მისამართები და საბანკო რეკვიზიტები

მიმწოდებელი		შემსყიდველი
ააიპ საქართველოს სამეცნიერო - საგანმანათლებლოკომპიუტერული ქსელების ასოციაცია - „გრენა“. სკ: 204931654 ფაქტიურიმისამართი: 0108 თბილისი, თ. ჭოველიძის ქუჩა 10. ტელ.: 2250590; 2250591 ფაქსი: 577 40 55 66; ელ-ფოსტა: contact@grena.ge სს ”თიბისი ბანკის” ცენტრალური ფილიალი, კოდი: TBCBGE22 ა/ა: GE28TB0600000003700507		სსიპ „საქართველოს სახელმწიფო ჰიდროგრაფიული სამსახური“ ს/კ: 215082764 მისამართი: ქ. ფოთი. დ. თავდადებულის ქ. N 93 სახელმწიფო ხაზინა“ ბანკის კოდი: TRESGE22ა/ა: 707247519. LEPL State Hydrographic Service of Georgia Digitally signed by LEPL State Hydrographic Service of Georgia Date: 2019.06.11 15:11:58 +04'00'
რამაზ ქვათაძე _____ **აღმასრულებელი დირექტორი**		_____ **ნინო წულაია** **დირექტორის მ/შ**